MES 3 21 0001004721

30/09/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.09.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:05სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:55სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო

უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანა ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირინე შოთაძე		რექტორი	I, II
2	მარიამ ჯაში		მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე	I, II
3	ნინო კეკენაძე		რექტორის მოადგილე კლინიკური საქმიანობის მიმართულებით	I, II
4	თამარ გაიხარაშვილი		რექტორის მოადგილე სასწავლო რესურსების განვითარების მიმართულებით	I, II
5	ცისანა ლომაშვილი			I, II

		შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	
6	მაია ზარნაძე		ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი	**I, II**
7	მარიამ მაღლაკელიძე		მედიცინის სკოლის დეკანი	**I, II**
8	აკაკი სეფაშვილი		კლინიკური უნარ-ჩვევების და ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი	**I, II**
9	ეკატერინე კლდიაშვილი		სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახური უფროსი	**I, II**
10	ნინო შიუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I, II**
11	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
12	ქეთევან ჯიჯეიშვილი		„საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქეთევან თელიამ დააყენა შუამდგომლობა კვორუმის არარსებობის გამო, მესამე საკითხის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის, უახლოეს საბჭოზე გადატანის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მესამე საკითხის უახლოეს საბჭოზე გადატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;
2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამკურნალო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №599367 13.07.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0104, ქ. წამებული №51/2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, ია ფანცულაია, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის 13 ივლისს ერთ წელიწადში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების (8 რეკომენდაცია და 1 რჩევა) შესრულების ანგარიშის ვალდებულებით. დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია. რეკომენდაციების უმრავლესობა ეხებოდა კლინიკური სწავლებისას პაციენტების რაოდენობას, მენტორების რაოდენობრივად განსაზღვრას, თითოეული კურსის შემთხვევაში მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, დანერგვას კლინიკაში და ინსტიტუციის მიერ გაზიარებულ იქნა ყველა რეკომენდაცია და ვინაიდან 2020 წელი იყო Lockdown-ების წელი, მხოლოდ რამდენიმე კლინიკაში დაერქვა ზუსტად ისე, როგორც წარდგენილია.
გაცემული 8 რეკომენდაციიდან პირველი რეკომენდაცია არის გადაიხედოს პორტფოლიოსთვის კრედიტების მინიჭების კონცეფცია, გაანალიზდეს ერთიანი პროგრამის ფარგლებში და აისახოს შესაბამის რუკაში - რომელიც დაწესებულებამ დეტალურად შეიმუშავა, თუ როგორ მოხდება შეფასება, როგორ შეავსებს სტუდენტი, რა სავალდებულო ნაწილია და რა არჩევითი ნაწილია.
მეორე რეკომენდაცია ხელახლა გადაიხედოს სტუდენტების რაოდენობის გეგმის გაზრდა არა დასაქმებული სტუდენტების მაჩვენებლებთან და არა კვალიფიკაციით დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან მიმართებით. გათვალისწინებული იყოს ბაზრის კვლევის ანალიზი -

დაწესებულებამ შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია, მის მიერ 2018-2019 წელში კურსდამთავრებულთა ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ დასაქმებისა/სალიცენზიო გამოცდის ჩაბარების მაჩვენებლით გაიზარდა და შეადგენდა 87,5%. 2020 წლისთვის დაუსაქმებელ სტუდენტთა მაჩვენებელი ფაქტიურად 0%-ია.
დანარჩენი რეკომენდაციები შეეხება კლინიკურ გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დამატებას, არა მხოლოდ პროფესორების, არამედ მენტორების დამატებას, სწორედ ამ კლინიკური გარემოსთვის ინსტიტუციის მიერ შემუშავებულ იქნა კლინიკური კურსი სწავლების კონცეფცია, სადაც დაწვრილებით იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები, რამდენი პაციენტი უნდა მოდიოდეს სტუდენტზე გარკვეული კურსის მიხედვით, რამდენი მენტორი უნდა მოდიოდეს ერთ სტუდენტზე და ა.შ. დეტალურად არის გაწერილი კონცეფციაში და ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა. ერთ-ერთ კლინიკაში კარგად იქნა დანერგილი, პანდემიის გათვალისწინებით მოხდა არა ის რომ 5 სტუდენტი არის ერთ პაციენტზე და ა.შ.. პირიქით 2-4 სტუდენტი გადიოდა კლინიკურ საგნებს პრაქტიკის თვალსაზრისით.
რეკომენდაციების თვალსაზრისით შეფასებულ იქნა მხოლოდ მეორე და მეოთხე სტანდარტი, რადგან ისინი იყო განსაზღვრული, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ეს იყო კომპონენტი 2.1, 2.2, 4.1, 4.3.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
რექტორი, ირინე შოთაძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ ექსპერტმა ძალიან კარგად წარადგინა დაწესებულების ანგარიშის მონახაზი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მისი განცხადებით, საბჭოს წევრებისთვის სიახლე არ არის, რომ რამდენადაც არ უნდა ეცადონ სუბიექტურობა მაინც ახდენს ხოლმე გავლენას ექსპერტთა შეფასებაზე. მან განაცხადა, რომ დეტალურად შეისწავლა დაწესებულების ანგარიში და მოქმედი დარგობრივი სტანდარტის მიხედვის, ეს რეკომენდაციებში არც უნდა გასულიყო, რადგან თანაფარდობები არის ზოგადად მითითებული და მკაცრი, საერთაშორისო, მოთხოვნა არ არსებობს, პორტფოლიოს ისეთი პრინციპი აქვს, რომ დაწესებულებას შეუძლია გადაანაწილოს კრედიტები თავისი შეხედულებით, მისი ვარაუდით არ ესწრებოდა აღნიშნული საკითხის განხილვას, რადგან იგი მედიცინის სკოლების ონბუცმენი გამოდის ხოლმე, მაგრამ თვლის, რომ ობიექტურობა უნდა იყოს შენარჩუნებული და ვინმემ უნდა გააჟღეროს, მას არ აქვს უფლება ანგარიშში რაიმე დაამატოს, მაგრამ 2-4 სტუდენტი მეიოში არ არის პანდემიის გათვალისწინებითაც კი და დაწესებულებისთვის კარგი მიღწევაა, თუმცა დაინტერესდა 2 სტუდენტის მოსვლის შემთხვევაში რამდენ ხანს გრძელდება მეცადინეობები, თუ ჯგუფი 15 კაციანია. მისთვის ძალიან მისასალმებელია, რომ მომავალ სტანდარტში გათვალისწინებული ცვლილებები, პორტფოლიოს სავალდებულოობა, Workplace-based assessment-ის ელემენტები უკვე შეტანილი აქვთ. თუმცა ისმის კითხვა, თუ რატომ არის შეტანილი რეკომენდაციებში, რადგან სხვა ინსტიტუციების მედიცინის პროგრამებში არ იყო ასეთი შენიშვნები, მისთვის გაუგებარია თუ რა გამოსავალი არსებობს, რომ ყველა ექსპერტმა ერთნაირად იმსჯელოს და ერთი მოთხოვნები გაითვალისწინოს.
რექტორმა, ირინე შოთაძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია ყოფილიყო რაღაც ხარვეზი, რადგან 2-4 სტუდენტთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული დაწესებულება არც ჰარვარდია და არც მეიო. 2-4 სტუდენტი ანგარიშში ეწერათ, რადგან აღწერილი იყო პროცესი თუ როგორ მოახერხეს პანდემიის დროს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, ანუ თეორიული სწავლება მიმდინარეობდა დისტანციურ რეჟიმში და იმ პერიოდში ლექტორები ახერხებდნენ 2 სტუდენტის მიყვანას.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, დასძინა რომ ეს ძალიან კარგია, რადგან თსსუ-ის 4-5 სტუდენტი ჰყავს თითო მიღებაზე.

რექტორმა, ირინე შოთაძემ, განმარტა, რომ ვერ შეყავდათ 5-10 და ასე 2-2 კაცი მიყავდათ კლინიკაში თითოჯერ.

2. მეორე საკითხი: შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №599368 13.07.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0104, ქ. წამებული №51/2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ია ფანცულაიამ განაცხადა, რომ რეკომენდაციები იყო ერთი და იგივე, განსხვავდებოდა მხოლოდ ერთი რეკომენდაციით, რადგან იყო უცხოენოვანი პროგრამა, პირველი რეკომენდაცია იყო, რომ პაციენტებთან ურთიერთობისას უნდა განისაზღვროს თუ რა დონეზე იცის ქართული, რათა გაიგონ, შეისწავლონ პაციენტებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები და ა.შ. დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და გადაწყვიტა, რომ გააფართოვო ქართული ენის სწავლება პირველივე კურსიდან და 2 წლის განმავლობაში 16 კრედიტი გამოყვეს, სტუდენტებს საკომუნიკაციო დონეზე მაინც ეცოდინებათ, დეტალურად შეიძლება არა, მაგრამ დაეხმარებიან მენტორები, ასევე აღსანიშნავია, რომ 4 მენტორი დაემატა კლინიკაში, რომლებიც ცალკე არიან, არა საგნის წამყვანებად, არამედ მენტორებად, ასევე დაემატა კურსის ადმინისტრატორი. სხვა რეკომენდაციები კი ზუსტად ერთნაირია და ერთიდაიგივე რეჟიმში მიმდინარეობს შესრულების თვალსაზრისითაც

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რექტორმა, ირინე შოთაძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტს დადებითი შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა წინა საბჭოზე, მას სურდა გამოეხატა მისი პოზიტიური დამოკიდებულება, რადგან ახსოვს, რომ მოხდა ყველა რეკომენდაციის შინაარსობრივი განხილვა და თითოეული მათგანი შეასრულა დაწესებულებამ.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, იკითხა ესწრებოდა თუ არა აღნიშნული საკითხის განხილვას.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა, დასძინა, რომ მოგვიანებით შემოუერთდა საბჭოს, თუმცა ძალიან კარგი იქნებოდა აღნიშნული საკითხის განხილვასაც რომ დასწრებოდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:23

დასრულების დრო: 15:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის „სამკურნალო საქმის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

15:28 საბჭოს შემოუერთდა ნინო ინასარიძე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიშის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობებია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №1189752 10.12.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ ., №77, თბილისი, სასწავლო კორპუსი №6, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს, ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, ირაკლი მანველიძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ გაეცნო საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტთა რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეეხებოდა მეორე სტანდარტს, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები და ასახა საგანმანათლებლო პროგრამაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით მახვილაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ უმჯობესი იყო ეპასუხათ კითხვებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლოვას, განცხადებით, ექსპერტს ანგარიშში ეწერა, რომ 10 ადამიანი მოემატა და დაინტერესდა, იყვნენ თუ არა ისინი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის კვალიფიკაციით და სტატუსით იყვნენ არჩეული აკადემიური პერსონალი თუ მოწვეული.
ექსპერტმა განმარტა, რომ იყვნენ, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.
საბჭოს წევრი ჩაეკითხა აკმაყოფილებს თუ არა მათი სამეცნიერო აქტივობა სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობას.
ექსპერტმა დაადასტურა საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, განაცხადა, რომ რადგან ექსპერტმა ნახა სილაბუსების ძველი და ახალი ვარიანტები, იყო თუ არა მოხსნილი გადაფარვები სრულიად, რადგან მას მოეჩვენა, რომ შესაძლებელია მცირედით, მაგრამ კვლავ არის გადაფარვაში, თუმცა ეს ეხება კომუნიკაციის ტექნიკისა და კვლევის მეთოდების კურსს და ასევე დაინტერესდა, თუ რამდენად რეალისტურად მიაჩნია ექსპერტს ის შინაარსები, რომლებიც დევს სილაბუსში, თითოეულ კვირაში გაწერილი მასალა, დაფარულ იქნას ერთი სალექციო შეხვედრის განმავლობაში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და მიიჩნია, რომ გადაფარვები უმნიშვნელოა და ხელს არ უშლის აღნიშნულ კურსებში განმეორებით თემებზე საუბარს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 15:53
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 17 სექტემბერს, 15:55 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ